დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 113 08
20/11/2017

საკრებულოს წევრების გადაწყვეტილების დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" შექმნის და მის თავმჯდომარედ ალექსანდრე დაუთაშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 30-ე მუხლისა და „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №42 დადგენილების 35-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საკრებულოს წევრების გადაწყვეტილება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს'' შექმნის და მის თავმჯდომარედ ალექსანდრე დაუთაშვილის არჩევის შესახებ (საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის ოქმი №2).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

ნიაზ მაჯითოვი

სხდომის თავმჯდომარე

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დროებით სამანდატო კომისიას

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ წევრების

განცხადება

გთხოვთ, გაატაროთ რეგისტრაციაში დმანისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქარტული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“. თავმჯდომარე- ალექსანდრე დაუთაშვილი წევრები:

1.დაუთაშვილი ალექსანდრე, 2.ოქრიაშვილი მერაბ, 3.სამადაშვილი ვალერი, 4.ნინიაშვილი თორნიკე, 5.ისმაილოვი გუსეინ, 6.აბდულლაევი ვიდადი, 7.ალიევი აზერ, 8.მენაბდიშვილი დავით, 9.დაუთაშვილი დავით, 10.უმფრიანი გეგი, 11.ისმაილოვი ფაიგ, 12.მუსაევი აფთანდილ, 13.პეტრიაშვილი კახა , 14.აფრასიძე თეიმურაზ, 15.ქამრან ხიდიროვი, 16.ასლამაზაშვილი სოფიო, 17.გრიგალაშვილი ზაური, 18. ჩხვიმიანი ზურიკო, 19.აბრამიშვილი მურაზი, 20.იბრაგიმოვი ემილ. 21. შოთა აკობაშვილი 22. გოგი ციხელაშვილი 23. რამიზ რამაზანოვი 24. მზია ნინიაშვილი. 25.ფირუზა ციხელაშვილი, 26. აიდინ შარიფოვი 27 .ნიაზ მაჯითოვი.

განცხადებას თან ერთვის ფრაქციის დაფუძნების შესახებ ოქმი . წესდება და პლატფორმა.

გაბმცხადებლები:

1.დაუთაშვილი ალექსანდრე

2.ოქრიაშვილი მერაბ

3.სამადაშვილი ვალერი

4.ნინიაშვილი თორნიკე

5.ისმაილოვი გუსეინ

6.აბდულლაევი ვიდადი

7.ალიევი აზერ

8.მენაბდიშვილი დავით

9.დაუთაშვილი დავით

10.უმფრიანი გეგი

11.ისმაილოვი ფაიგ

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

სხდომის ოქმი N1

20.11 2017 წელი

ქ.დმანისი

დღის წესრიგი:

1.დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცება.

2. ფრაქციის ხელმძღვანელი პირების არჩევა.

სხდომას ესწრებოდნენ: .დაუთაშვილი ალექსანდრე, 2.ოქრიაშვილი მერაბ, 3.სამადაშვილი ვალერი, 4.ნინიაშვილი თორნიკე, 5.ისმაილოვი გუსეინ, 6.აბდულლაევი ვიდადი, 7.ალიევი აზერ, 8.მენაბდიშვილი დავით, 9.დაუთაშვილი დავით, 10.უმფრიანი გეგი, 11.ისმაილოვი ფაიგ, 12.მუსაევი აფთანდილ, 13.პეტრიაშვილი კახა , 14.აფრასიძე თეიმურაზ, 15.ქამრან ხიდიროვი, 16.ასლამაზაშვილი სოფიო, 17.გრიგალაშვილი ზაური, 18. ჩხვიმიანი ზურიკო, 19.აბრამიშვილი მურაზი, 20.იბრაგიმოვი ემილ. 21. შოთა აკობაშვილი 22. გოგი ციხელაშვილი 23. რამიზ რამაზანოვი 24. მზია ნინიაშვილი. 25.ფირუზა ციხელაშვილი, 26. აიდინ შარიფოვი 27 .ნიაზ მაჯითოვი.

სხდომის თავმჯდომარე: მერაბ ოქრიაშვილი

სხდომის მდივანი: სოფიო ასლამაზაშვილი

დღის წესრიგი დამტკიცდა 20 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

1. სხდომის თავმჯდომარემ , მერაბ ოქრიაშვილმა წარმოადგინა ფრაქციის წესდება და პოლიტიკური პლატფორმა . აზრი გამოთქვეს კახა პეტრიაშვილმა და ალექსანდრე დაუთაშვილმა. რის შემდეგაც კენჭი ეყარა ფრაქციის წესდებისა და პოლიტიკური პლატფორმის დამტკიცებას. ფრაქციის წესდება და პოლიტიკური პლატფორმა დამტკიცდა 27 ხმით არცერთის წინააღმდეგ.
2. ფრაქციის თავმჯდომარედ დასახელდა ალექსანდრე დაუთაშვილის კანდიდატურა . კენჭისყრის შედეგად ფრაქციის თავმჯდომარედ 27 ხმით არცერთის წინააღმდეგ. არჩეულ იქნა ალექსანდრე დაუთაშვილი.

   ფრაქციის მდივნად დასახელდა სოფიო ასლამაზაშვილის კანდიდატურა, კენჭისყრის შედეგად ფრაქციის მდივნად არჩეულ იქნა სოფიო ასლამაზაშვილი 27 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

ფრაქციამ გადაწყვიტა, რომ ფრაქციის სარეგისტრაციოდ საჭირო დოკუმენტაცია წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებით სამანდატოკომისიას.

სხდომის თავმჯდომარე: მერაბ ოქრიაშვილი

სხდომის მდივანი: სოფიო ასლამაზაშვილი

12.მუსაევი აფთანდილ

13.პეტრიაშვილი კახა

14.აფრასიძე თეიმურაზ

15.ქამრან ხიდიროვი

16.ასლამაზაშვილი სოფიო

17.გრიგალაშვილი ზაური

18. ჩხვიმიანი ზურიკო

19.აბრამიშვილი მურაზი

20.იბრაგიმოვი ემილ

21. შოთა აკობაშვილი

22. გოგი ციხელაშვილი

23. რამიზ რამაზანოვი

24. მზია ნინიაშვილი.

25. ფირუზა ციხელაშვილი,

26. აიდინ შარიფოვი

27. ნიაზ მაჯითოვი.

20.11 2017 წელი.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პლატფორმა

20.11.2017 წელი **ქ.დმანისი**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საართველო“ , შემდგომში ფრაქცია არის დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შექმნილი საერთო პოლიტიკური შეხედულებების და ინტერესების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ , მუნიციპალიტეტის ინტერესების და საკრებულოს საქმიანობის ფარგლებში თანამშრომლობს ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც გაიზიარებს ფრაქციის სამოქმედო სტრატეგიას და პრიორიტეტებს.

ფრაქცია აერთიანებს საერთო მსოფლმხედველობის მქონე საკრებულოს წევრებს, რომელთაც:

1. ძირეულ ფასეულობებად მიაჩნია ადამიანის უფლებების ხელშეუვალობა;
2. კანონის უზენაესობა;
3. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება;
4. კერძო საკუთრებაზე დამყარებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა;
5. სკოლამდელი და სკოლის გარეშე განათლების სისტემის მხარდაჭერა;
6. ინფრასტრუქტურის განვითარება;
7. სამუშაო ადგილების შექმნა;
8. ინვესტიციების მოზიდვა;
9. სიღარიბის დაძლევა;
10. სოფლის მეურნეობის განვითარება;
11. შეზღუდული შესაძლებლობების პირთა და უსახლკაროთა მხარდაჭერის პროგრამების ამუშავება.
12. ძლიერი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წესდება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, არის დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

1.2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტები.

თავი 2

ფრაქციის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2.

2.1. ფრაქციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) დმანისის მუნიციპალტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება;
ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა;
გ) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას ფრაქციის შეჯერებული აზრის გამოხატვა;
დ)ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმის განხორციელება.

თავი 3

ფრაქციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

მუხლი 3.

3.1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

3.2. ფრაქციის სხდომა დიაა. ფრაქციის სხდომა ფრაქციის წევრთა მოთხოვნით შეიძლება ვამოცხადდეს დახურულად.

3.3. გადაწყვეტილებები ფრაქციის სხდომაზე მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

3.4. ფრაქციის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ. საჭიროებისამებრ ფრაქციის სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას ფრაქციის თავმჯდომარის ინიციატივით ან ფრაქციას წევრთა მოთხოვნით.

3.5. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 4.

4.1. ფრაქციის წევრი შეიძლება გახდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნებისმიერი წევრი, რომელიც იზიარებს ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმას და ფრაქციის წესდებას.

4.2. ფრაქციაში გაწევრიანების მსურველი საკრებულოს წევრი. წერილობითი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს.

4.3. ფრაქცია საკრებულოს წევრის განცხადებას განიხილავს ფრაქციის უახლოეს სხდომაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

4.4. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე 3 დღის ვადაში წერილობით აცნობებს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისას და საკრებულოს აპარატს.

4.5. ფრაქცია ფრაქციის წევრის განცხადებას ფრაქციის დატოვების შესახებ იღებს ცნობად.

მუხლი 5.

5.1. ფრაქციის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას ფრაქციის ნებისმიერ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ან დაასახელოს შესაბამისი კანდიდატურა;

გ) მიმართოს ფრაქციას ნებისმიერი წინადადებით ან ინიციატივით, რომელიც შეეხება საკრებულოს განსახილველ საკითხს და მოითხოვოს ფრაქციის მხარდაჭერა;

დ) მიიღოს ფრაქციის აპარატში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თვითმმართველობის საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;

ე) მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში.

5.2. ფრაქციის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ფრაქციის წესდება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის საქმიანობაში;

გ) აქტიურად ჩაერთოს ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმის განხორციელებაში;

დ) თავისი ქმედებით არ დაუშვას ფრაქციის დისკრედიტაცია.

5.3 ფრაქციიდან გასვლა:

ა) ფრაქციის წევრი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავჯდომარეს ფრაქციიდან გასვლის შესახებ.

თავი 4

ფრაქციის ხელმძღვანელი პირები და მათი უფლებამოსილებები

მუხლი 6.

6.1. ფრაქციის ხელმძღვანელი პირები არიან - ფრაქციის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

6.2. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

მუხლი 7.

7.1 ფრაქციის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში და მის გარეთ;

გ) თანამდებობრივად შედის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში;

დ) წარმართავს ფრაქციის სხდომებს;

ე) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

7.2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს და, საჭიროებისამებრ, ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას.

7.3. ფრაქციის მდივანი ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის დავალებებს, ხელმძღვანელობს ფრაქციის შიდაორგანიზაციულ საქმიანობას, ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი 6

ფრაქციის წესდების გადასინჯვა

მუხლი 8.

9.1. ფრაქცია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადასინჯოს ფრაქციის წესდება და პოლიტიკური პლატფორმა.